



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



ოქმი: ო87.8722026001

თარიღი: 26/01/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. ახმეტა 20 იანვარი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ს დ ო მ ა ს ე წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: გ. ქიბროჩაშვილი, გ. ბართიშვილი,

თ. ყვინიშვილი, თ. ბორჩაშვილი, ხ. იჩუაიძე,

გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ზ. უძილაური,

ე. ბალაკაშვილი, ბ. კაიშვილი, გ. ონიაშვილი,

გ. მამუჩარაშვილი, რ. გახუაშვილი, დ. ავაზაშვილი,

თ. მოზაიძე, ზ. ფიცხელაური, შ. ტერტერაშვილი,

კ. მუხაური.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი-მარინა მაისურაძე/

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომა ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 17

წინააღმდეგი - (1)შაქრო ტერტერაშვილი

მონაწილეობა არ მიიღო - (1) კარლო მუხაური

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი-მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლისა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესების დაცვით .

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით გამოყოფილი თანხისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის ასახვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 778,0 ათას ლარს. აქედან 713,5 ათასი ლარი გასული წლის ვალდებულებების დასაფარად აისახება 2022 წლის მაჩვენებლებში, ხოლო 64,5 ათასი ლარი არის თავისუფალი ნაშთის სახით, რომლის ასახვაც განხორციელდება მთავრობასთან შეთანხმების შედეგად მიღებული განკარგულების საფუძველზე. ხოლო მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი შეადგენს 2620,6 ათასი ლარს, საიდანაც 278,7 ათასი ლარი მიმართული უნდა იქნას გასული პერიოდის ვალდებულებების დასაფინანსებლად, ხოლო 2341,9 ათასი ლარი არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ბიუჯეტის პარამეტრები

შემოსულობები: შემოსულობების ნაწილი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულების შესაბამისად იზრდება 3354,5 ათასი ლარით.

საგასავლო ნაწილი:

საგასავლო ნაწილის ოდენობა იზრდება 6688,6 ათასი ლარით. მ.შ.საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 3354,5 ათას ლარს, გასული პერიოდის განკარგულებების ნაშთიდან ბიუჯეტში ასასახი თანხის ოდენობა 713,5 ათასი ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან 2620,6 ათასი ლარით.

წინა წლებში განკარგულებით გამოყოფილი თანხები, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან შეადგენს 713,5 ათას ლარს. აქედან:

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის №554 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 31,6 ათ. ლარი - ქ. ახმეტაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა
2. საქართველოს მთავრობის 2019 წლის №13 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 5,0 ათ. ლარი - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა.
3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის №2752 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 0,1 ათ. ლარი - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.
4. საქართველოს მთავრობის 2019 წლის №2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 27,8 ათ. ლარი - სოფ. მატანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია
5. საქართველოს მთავრობის 2020 წლის №2685 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 489,9 ათ. ლარი . აქედან:

- სოფ. მატანში კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 92,4 ათ. ლარი
- სოფ. ახალშენის ჭაბურღილის მოწყობა - 36,0 ათ. ლარი
- სოფ. ოდლისის ჭაბურღლის მოწყობა - 18,3 ათ. ლარი
- სოფ. ზემო ალვანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 40,1 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 39,4 ათ. ლარი
- სოფ. ქვემო ალვანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 40,7 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაცია - 40,9 ათ. ლარი
- სოფ. საკობიანოს გზის რეაბილიტაცია 7,1 ათ. ლარი
- სოფ. კოდოთოს შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 133,1 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია - 41,9 ათ. ლარი

6. საქართველოს მთავრობის 2021 წლის №168 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 28,7 ათ. ლარი - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.
7. საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - 130,4 ათ. ლარი - თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით გამოგვეყო:

-ქ.ახმეტაში ნინოშვილის ქუჩის რეაბილიტაციისათვის -126.1 ათასი ლარი

-სოფელ ქვემო ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა III) რეაბილიტაციისათვის --113,1 ათასი ლარი

--სოფელ ზემო ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა N1) და სოფელ საკობიანოს გზის რეაბილიტაციისათვის----- 191,7

-სოფელ ჯოყოლოში ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 149,8 ათასი ლარი

-სოფელ მატანის კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის 578,9 ათასი ლარი

-ქ.ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაციისთვის 203,7 ათასი ლარი

-ქ.ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაციისათვის-281,5 ათასი ლარი

-ქ.ახმეტაში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაციისათვის- 294,5 ათასი ლარი

-სოფელ არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაციისათვის 348,4 ათასი ლარი

-სოფელ ზემო ხოდაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციისათვის 511,9 ათასი ლარი

-ქ.ახმეტაში ფიროსმანის I ქუჩის გზის რეაბილიტაციისათვის-- 148,0 ათასი ლარი

-ქ.ახმეტაში ყაზბეგის ჩიხის რებილიტაციისათვის -- 248,8 ათასი ლარი

-ქ. ახმეტაში ჭავჭავაძის ჩიხის რებილიტაციისათვის 85,6 ათასი ლარი

-სოფელ ჯოყოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 72,5 ათასი ლარ

### ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთის სახით მორჩენილია სულ 2620,6 ათასი ლარი, საიდანაც 2019 წელს თუშეთისათვის გადმორიცხული თანხიდან (სპეც. ტექნიკის რემონტი) დარჩენილია 42,5 ათ. ლარი და საკობიანოს საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის გადმორიცხული თანხის ნაშთი (გრანტი) 0,5 ათ. ლარი.

2577,6 ათასი ლარის განაწილება:

1. საკრებულოს ხარჯი გაიზარდა -7,0 ათასი ლარით.
2. მერიის ხარჯები გაიზარდა 614,1 ათასი ლარით. მშ -ავტომობილების შეძენა-200,0 ათასი ლარი, მერიისძველი ადმინისტრაციული შენობის კიბის უჯრედის რემონტი-50,0 ათასი ლარი, ა.ალვანის ადმინისტრაციული შენობის რემონტი 150,0 ათასი ლარი, ხოდაშნის ადმინისტრაც. შენობის რემონტი 70,0 ათასი ლარი, კომპიუტერების და გამატობლების კაპიტ ხარჯი 15,4 ათასი ლარი, ძველი ვალდებულებების ხარჯი 48,7 ათასი ლარი(ძველი ადმინისტრაც შენობის სველი წერტილები -23,5 ათასი ლარი, კორიდორი 11,1 ათასი ლარი, მერიის ოთახების და კიბის უჯრედის რემონტი-14,1 ათასი ლარი)
3. სარეზერვო ფონდის ოდენობის ზრდა -50,0 ათასი ლარი.
4. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯებისათვის გამოიყო 431,8 ათასი ლარი .

აქედან გასული წლის ვალდებულებებზე 46,8 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს განსახორციელებელ ღონისძიებებზე 385,0 ათასი ლარი.მშ.

ა) ჯოყოლო დუმასტურის ხიდის მოწყობაზე გამოიყო 135,0 ათ. ლარი (სულ გამოყოფილია 250,0 ათასი ლარი)

ბ) სოფელ ახშანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება -120,0ათასი ლარი.

გ) სოფელ ხორბალოს გზის სამუშაოები --130,0 ათასი ლარი

5. სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციაზე გამოიყო-- 150,0 ათასი ლარი

ა) ქ. ახმეტაში ბახტრიონის ქუჩისა და ინტერნატთან მიმდებარე ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა 150,0 ათასი ლარი.

6. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის (სოფელ ოჟიოს წყალსადენის სათავე ნაგებობის) -100,0 ათასი ლარი.

7. სპორტული ინფრასტრუქტურაზე გამოიყო 460,7 ათასი ლარი

ა)ღია სპორტული სავარჯიშოების მოწყობაზე გათვალისწინებულია 90,0 ათასი ლარი ( ღია სპორტული მოედნები მოეწყობა ქ. ახმეტაში სამოცბინიანთან და სათიანოს უბანში ,რომელზედაც გათვალისწინებულია 60,0 ათასი ლარი, ხოლო სოფელ ოჟიში რია სპორტუ.ი მოედნის მოწყობაზე გათვალისწინებულია 30,0 ათასი ლარი).

ბ) ქ. ახმეტაში უტოს უბანში მინისპორტული მოედნის მოსაწყობად გათვალისწინებულია 60,0 ათასი ლარი

გ) სოფელ ზემო ხოდაშენში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 150,0 ათასი ლარი.

ე) ქ. ახმეტაში იპოდრომის მშენებლობის საპროექტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 90,0 ათასი ლარი.

ზ) ქ. ახმეტის და სოფლების ქისტაურის,ზ.ალვანის გარე სავარჯიშოების მოწყობის თანადაფინანსებისათვის 6,9 ათასი ლარი

თ) გასული წლის ვალდებულებების დასაფინანსებლად 63,8 ათასი ლარი. ესენია ქ. ახმეტაში მინისპორტული მოედნისმოწყობა 39,0 ათასი ლარი და სოფელ საკობიანოს მინი სტადიონის მოწყობა 24,8 ათასი ლარი.

**8. წყლის სისტემების რეაბილიტაციისათვის გამოიყო 173,6 ათასი ლარი .**

აქედან :

ა) სოფელ ყვარელწყალში ჭაბურღილის მოსაწყობად 75,0 ათასი ლარი

ბ) სოფელ ქისტაურში ხევსურების უბანში ჭაბურღილის მოსაწყობად 75,0 ათასი ლარი.

გ) გასული წლის ვალდებულებების დააფარად 23,6 ათასი ლარი.( მშ. საზედამხედველო თანხა 8,6 ათასი ლარი, ბირკიანის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება 15,0 ათასი ლარი.)

**9. აიპი სოფლისწყლის სისტემების ათვის გამოიყო 24,0 ათასი ლარი .მშ.**

არაფინანსური აქტივების ზრდა -20,0 ათასი ლარი(წყლის ტუმბოების შესაძენად)

სუბსიდია 4,0 ათასი ლარი.

**10. დასუფთავების ხარჯებისათვის ნაგვის კონტეინერების შესაძენად გამოიყო 100,0 ათასი ლარით**

**11. საბავშვო ბაღების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 81,7 ათასი ლარი. აქედან ა) ახმეტის N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციოდ 10,0 ათასი ლარი (სულ N5 ბაღის სარეაბილიტაციოდ 2022 წელს გამოყოფილია 125,0 ათასი ლარი), ბ)ხორხელში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხა- 60,0 ათასი ლარი) ,**

გ) აპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი-11,7 ათასი ლარი (გასული წლის ვალდებულება)

**12. აიპ საბავშვო ბაღების სუბსიდია 126,0 ათ. ლარი (ხელფასის ზრდა)**

**13. სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების თანადაფინანსებისათვის გამოიყო 127,0 ათასი ლარი.**

**14. გარე განათების კაპიტალური ხარჯებისათვის-5,8 ათასი ლარი( ზ.ალვანის გარე განათების მოწყობა-გასული წლის ვალდებულება)**

**15. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის კაპიტალური ხარჯი - 6,6 ათასი ლარი (საზედამხედველო და თანადაფინანსება).**

**16. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (საქონელი და მომსახურება) - 3,9 ათასი ლარი (გასული წლის ვალდებულება)**

**17. კლუბების კაპიტალური ხარჯებისათვის -26,0 ათასი ლარი (საზედამხედველო ხარჯი. გასული წლის ვალდებულება)**

**18. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა 6,5 ათ. ლარი - ქ. ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაციის საზედამხედველო .**

**19. ბინათმშენებლობის კაპიტალური ხარჯებისათვის 1,6 ათასი ლარი (გასული წლის ვალდებულება)**

**20. აიპ კულტურის ცენტრის სუბსიდია 12,7 ათასი ლარი.**

**21. სოციალური სახლის სუბსიდია 14,0 ათასი ლარი**

**22. აიპ დასუფთავების სამსახური 28,7**

**23. ავადმყოფების ხარჯი (გასული წლის ვალდებულება) -0,9 ათასი ლარი**

**24. აიპ ტყე-პარკების სუბსიდირება 4,0 ათ. ლარი (საბუღალტრო პროგრამის შექმნის ხარჯი)**

**25. აიპ სამუხიჯო სკოლის სუბსიდია 4,0 ათ. ლარი (საბუღალტრო პროგრამის შექმნის ხარჯი)**

**26. აიპ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის სუბსიდია 3,0 ((საბუღალტრო პროგრამის შექმნის ხარჯი)**

**27. აიპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო სკოლის სუბსიდია 20,0 მ. შ. საბუღალტრო პროგრამის შექმნის ხარჯი.**

**28. აიპ გარე განათების სუბსიდია 4,0 ათ ლარი (საბუღალტრო პროგრამის შექმნის ხარჯი)**

**კლება**

**1. აიპ კომპლექსური სპორტ. სკოლის სუბსიდია -10,0 ათ. ლარი**

თინათინ მოზაიძე დაინტერესდა, ემატებათ თუ არა ხელფასები სახელოვნებო სკოლის

პედაგოგებს, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ აქვთ საათობრივი ანალაურება და მათი ხელფასების ზრდა იქნება 10%-ი.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 16**

**წინააღმდეგი - (2) შ.ტერტერაშვილი, კ. მუხაური.**

**მონაწილეობა არ მიიღო - (1) თ. მოზაიძე**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №24 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მოწონებულ იქნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ ილიურთა-ვესტომთა-საჩილოლო-ვესტმოს და ვესტომთა-გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები“;

დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 19 წევრი.**

**მომხრე - 16**

**მონაწილეობა არ მიიღო - (3) შ. ტერტერაშვილი, კ.მუხაური, თ. მოზაიძე.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 2 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“;**

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მოწონებულ იქნეს „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში დანართის შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტი-- „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა“;

ნება დაერთოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 19 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - (2) შ. ტერტერაშვილი, კ.მუხაური.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 3 მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ;**

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:15 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

